ხელშეკრულება №19
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

16 მაისი 2019 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლი, 1-ლი პუნქტი, ს[1] ქვეპუნქტი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' (მუხლი 1–ის მე–2 პუნქტი, მე–2 მუხლი ,,ა“ პუნქტი, მე-9 მუხლის 1–ლი პუნქტი, მუხლი მე–10) შესაბამისად, ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება'', (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად რომანაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს ,,ტაბა 2017“ (ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა #187) წარმოდგენილი დირექტორის ლევან რომანაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (კოდი 16300000 - მოსავლის ასაღები მანქანები) ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“–ს საჭიროებისათვის 2 (ორი) ცალი ბენზო ცელის შესყიდვაზე, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული საქონელი შემდეგ თანხაზე: 2600 (ორიათასექვსასი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' საჭიროებისათვის ორი ცალი ბენზო ცელის შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“) თანახმად თანდართული დანართისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2600 (ორიათასექვსასი) ლარი
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, კერძოდ: ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება''–ს სახელით სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში (ბ.ოქროპირიძე).
5.3. მიწოდებული საქონელის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონელის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 24 მაისის ჩათვლით.
6.3. მოწოდებულ საქონელზე (ყველა დეტალზე) ვრცელდება ერთ წლიანი გარანტია.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები.
ბ) განახორციელოს დანართი 1-ის შესაბამისი საქონელის მოწოდება სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში.
გ) ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში „შემსყიდველი"–ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შეცვალოს საქონელი ახალი საქონელით;
დ) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს საქონელის შეკეთება/რემონტი „შემსყიდველი"–ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოწოდებული საქონელის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"-ს სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში (ბ.ოქროპირიძე).

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდებახელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოსგადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ანკომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმებისსაფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრებაურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავისგადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოსმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს–მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვადოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ერთი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან“

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

16. „შემსყიდველი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1. „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი #141;
16.2. „შემსყიდველი“–ს საიდენტიფიკაციო კოდი 247009062;
16.3. „შემსყიდველი“ – ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება''.

17. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1. „მიმწოდებელი“–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა #187;
17.2. „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE75TB7195936080100007, საიდენტიფიკაციო კოდი 446971475.
17.3. „მიმწოდებელი“– შპს ,,ტაბა 2017''

„შემსყიდველი“ – ა(ა)ი ,,ქობულეთის გამწვანება''

დირექტორი ზვიად რომანაძე

„მიმწოდებელი“ – შპს ,,ტაბა 2017''

დირექტორი ლევან რომანაძე

დანართი

ფასების ცხრილი

#	საქონელის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	მწარმოებელი ქვეყანა, მოდელი	განზ-ბა	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	ღირ-ბა
	ბენზო ცელი	**სამხრე ღვედით. ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი.** **წონა:** საჭრელი გარნიტურით და სავსე ავზით 6,3 კგ–ი. **ძრავა:** ორ ტაქტიანი. **ძრავის მოცულობა:** 1,3 კუბ/სმ. **სიმძლავრე:** 1 ცხენის ძალა. **დანის ტრიალის სიჩქარე:** 12300 ბრ/წთ **ავზის მოცულობა:** 640 გრ. **საქოქი:** მსუბუქი სტარტი (ორზამბარიანი). გააჩნია ვიბრაციის საწინააღმდეგო სისტემა.	გერმანია, Stihl FS 250	ცალი	2	1300,00	2600,00
	ჯამი						2600,00

მიმწოდებელი:

შპს „ტაბა 2017“
დირექტორი ლევან რომანაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–8 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებთ რომ ბენზო ცელის (**CPV**16300000) შესყიდვის განხორციელებაში შპს ,,ტაბა 2017“-ის მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“–ს

დირექტორი ზვიად რომანაძე

კონტროლის განმახორციელებელი და მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი

ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“–ს

სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში ბაჩანა ოქროპირიძე